პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 91 (3068)
1966 წ. 14 მაისი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატების ერთსულოვანი არჩევა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის ერთობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მათი მონოლითური შეკავშირების ახალი მკაფიო დადასტურება იქნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვიდან.

# საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის III კონფერენციის მონაწილეებს

**საქართველოს** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის III კონფერენციის მონაწილეებს და მათი სახით ჩვენი რესპუბლიკის ყველა სპორტსმენს!

საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები საბჭოთა ფიზკულტურელების სახელოვანი არმიის პირველ რიგებში არიან. 1965 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის ჩვენი რესპუბლიკა კვლავ, მეშვიდედ დაჯილდოვდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის.

მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივ სახეობათა ფართოდ დანერგვის ახალი, დიდი ამოცანები დასახულია სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს სსრ ყველა სპორტული საზოგადოება და ორგანიზაცია, რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურელი და სპორტსმენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მიაღწევენ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ფართო განვითარებას და ამ საფუძველზე სპორტული ოსტატობის ამაღლებას, კარგად მოემზადებიან და მოაწყობენ საქართველოს სსრ IV საზაფხულო სპარტაკიადას, ღირსეულ ადგილს დაიკავებენ სსრ კავშირის ხალხთა 1967 წლის აგვისტოს IV სპარტაკიადაში, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს 50-ე წლისთავს ეძღვნება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

# მესამე რესპუბლიკური

12 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მესამე რესპუბლიკური კონფერენცია. რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მილიონიანმა არმიამ კონფერენციაზე გამოგზავნა თავისი საუკეთესო წარმომადგენლები.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ო. ი. ლოლაშვილი, საბჭოთა სპორტის ვეტერანები, მსოფლიოს, ოლიმპიურ ასპარეზობათა, ევროპისა და საბჭოთა კავშირის, რესპუბლიკის ჩემპიონები და რეკორდსმენები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული მუშაკები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მოხსენება — „რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა 1964-1966 წლებში" გააკეთა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ, სარევიზიო კომისიის მოხსენება წაიკითხა მისმა თავმჯდომარემ მ. კლდიაშვილმა.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, სპორტის ოსტატი ლ. ტუღუში, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. დიასამიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ჯინჯიხაძე, სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჟღენტი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. მეტრეველი, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე ი. ბეროზაშვილი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე გენერალ-მაიორი ნ. სერგეევი, სპორტკომბინატ „დინამოს" დირექტორი ბ. პაიჭაძე, საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილების გამგე ი. ჩოჩია, რესპუბლიკის წყალბურთის ფედერაციის თავმჯდომარე გ. მესხიშვილი, ქალაქ ქუთაისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ლ. აბულეძიანი.

კონფერენციას მიესალმნენ ქალაქ თბილისის პიონერები.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. გ. სტურუამ. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება კონფერენციის მონაწილეებისადმი.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მთავარმა რედაქტორმა ვ. ნოვოსკოლცევმა საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას გადასცა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ უკვე ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვა. ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ აგრეთვე საქართველოს დედაქალაქის სპორტულ ორგანიზაციას და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს".

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში. გაიმართა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

* * *

რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პირველ პლენუმზე აირჩიეს პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია გ. სიხარულიძე, პირველ მოადგილედ — ლ. სანაძე, მოადგილედ — თ. მანაგაძე. პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად საზოგადოებრივ საწყისებზე აირჩიეს აგრეთვე რ. მეტრეველი და ი. ჩოჩია.

სარევიზიო კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს მ. კლდიაშვილი.

(საქინფორმი).

# საქართველოს სპორტკავშირის ხელმძღვანელი ორგანოები

## საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს წევრები

| | | | |
|---|---|---|---|
| აბაშიძე რ. ო. | ზაუტაშვილი კ. გ. | მიქაძე დ. გ. | ღარიბაშვილი ი. ი. |
| არხანგელსკი ა. ნ. | თავართქილაძე ბ. ვ. | მჟავანაძე შ. გ. | ყანჩაველი ა. ა. |
| ახვლედიანი ლ. ა. | თაქთაქიშვილი ო. ვ. | მხეიძე ა. ი. | ყარყარაშვილი შ. ვ. |
| ახვლედიანი შ. ნ. | თედეევი ა. ვ. | ნაცვლიშვილი დ. ა. | შავლაყაძე რ. მ. |
| ბაზაძე კ. მ. | თიკანაძე მ. ი. | ოვანოღლიანი კ. ა. | შარაშიძე გ. გ. |
| ბალავაძე ვ. მ. | იაშვილი მ. ვ. | პაიჭაძე ბ. ს. | შევარდნაძე ე. ა. |
| ბარათაშვილი ზ. დ. | იმედაძე თ. შ. | პაშიკოვი ნ. დ. | ჩახვაძე რ. ბ. |
| ბაცელაშვილი ი. ბ. | იმნაძე რ. ვ. | პირადოვი ლ. ს. | ჩერქეზია ო. ე. |
| ბედინეიშვილი გ. ვ. | კაკაბაძე მ. ვ. | პოპოვა რ. ვ. | ჩიკვაიძე მ. ს. |
| ბეროზაშვილი ი. გ. | კანდელაკი ვ. ვ. | ჟურული ვ. ბ. | ჩიხლაძე მ. ფ. |
| ბოჭორიძე ი. ი. | კარტოზია გ. ა. | ჟღენტი ვ. ო. | ჩოჩია ი. ს. |
| გაბუნია გ. დ. | კაჭახიძე თ. გ. | როგავა ა. მ. | ცერცვაძე ჯ. დ. |
| გარდაფხაძე კ. კ. | კეკელიძე მ. ე. | როსტიაშვილი ს. ს. | ცქიტიშვილი გ. ქ. |
| გაფრინდაშვილი ნ. ტ. | კიზირია ი. დ. | რცხილაძე გ. ვ. | ძეკონსკი ლ. ვ. |
| გაჩეჩილაძე გ. ი. | კიკნაძე ა. ე. | სადჩიკოვი ნ. მ. | წითლანაძე ვ. გ. |
| გეგელია მ. გ. | კიშინსკი ო. ა. | სალუქვაძე ე. ა. | ჭილაია გ. ნ. |
| გელაშვილი გ. გ. | კობაიძე ა. ა. | სამსონაძე ვ. ა. | ჭირაქაძე ა. ვ. |
| გვახარია ნ. ვ. | კოტრიკაძე ა. პ. | სანაძე ლ. გ. | ჭოხონელიძე დ. ე. |
| გვილავა გ. ე. | კუხიანიძე ვ. მ. | სალარაძე გ. რ. | ხვედელიანი ი. რ. |
| გიგინეიშვილი ო. ი. | ლაშქარაშვილი თ. ვ. | სერგეევი ნ. პ. | ხვედელიანი კ. მ. |
| გოგიაშვილი ე. გ. | ლაშქარაძე დ. ბ. | სირაძე ვ. მ. | ხინველი ნ. ი. |
| გოკიელი ე. ს. | მანაგაძე თ. ფ. | სიხარულიძე გ. ვ. | ხომერიკი თ. ი. |
| გონაძე კ. მ. | მატარაძე ლ. ნ. | სომხიშვილი ნ. ა. | ხორავა კ. მ. |
| გუბაზი ჯ. შ. | მალალაშვილი დ. დ. | სტეფანიანი ქ. ს. | ხუროძე ს. კ. |
| დვალიშვილი ნ. პ. | მეგრელიშვილი მ. ა. | სუხიშვილი შ. მ. | ჯანჟუაშვილი ა. ნ. |
| დიდიძე ვ. ე. | მერკვილაძე გ. ნ. | ტაპატაძე ს. დ. | ჯანჯღავა ვ. ნ. |
| დუმბაძე ნ. ი. | მეტრეველი ა. ი. | უგულავა ი. ნ. | ჯებაშვილი ო. დ. |
| ელერდაშვილი მ. ი. | მეტრეველი რ. ვ. | ფორაქიშვილი ზ. ი. | ჯიბლაძე გ. ნ. |
| ერმოლოვა ი. ვ. | მეყანწიშვილი გ. ვ. | ფხაკაძე ო. ლ. | ჯინჭარაძე გ. მ. |
| | | | ჯულელი მ. ნ. |

## საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს წევრობის კანდიდატები

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარამია მ. მ. | კიკაჩეიშვილი გ. შ. | კოპლატაძე ნ. კ. | ხვადაგიანი გ. პ. |
| გიორგობიანი ა. ა. | კინწურაშვილი შ. ბ. | ნებიერიძე რ. გ. | ჩხიკვაძე დ. გ. |
| კემულარია ო. ე. | კირვალიძე გ. პ. | რუხაძე ზ. პ. | წილოსანი გ. გ. |
| კერესელიძე რ. ს. | კორინთელი ა. ს. | ტყებუჩავა ს. ი. | |

## საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმი

| | | | |
|---|---|---|---|
| ახვლედიანი შ. ნ. | კაკაბაძე მ. ვ. | სანაძე ლ. გ. | ჭილაია გ. ნ. |
| ბეროზაშვილი ი. გ. | მანაგაძე თ. ფ. | სიხარულიძე გ. ვ. | ჩოჩია ი. ს. |
| ბოჭორიძე ი. ი. | მეტრეველი რ. ვ. | ფორაქიშვილი ზ. ი. | ჯანჯღავა ვ. ნ. |
| გონაძე კ. მ. | რცხილაძე გ. ვ. | ჟღენტი ვ. ო. | ჯულელი მ. ნ. |
| დიდიძე ვ. ე. | სამსონაძე ვ. ა. | თავართქილაძე ბ. ვ. | |

## საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის ბიურო

| | | | |
|---|---|---|---|
| ახვლედიანი შ. ნ. | მანაგაძე თ. ფ. | სამსონაძე ვ. ა. | სიხარულიძე გ. ვ. |
| კაკაბაძე მ. ვ. | რცხილაძე გ. ვ. | სანაძე ლ. გ. | |

## საქართველოს სპორტკავშირის სარევიზიო კომისია

| | | | |
|---|---|---|---|
| ამნიაშვილი მ. გ. | კიკნაძე ვ. გ. | სპანდერაშვილი კ. ნ. | ღლონტი გ. ა. |
| გაბაშვილი ი. ი. | კლდიაშვილი მ. დ. | ქოვლიევა ე. ვ. | ჩხარტიშვილი ი. ვ. |
| გვეტაძე ნ. კ. | პროზოროვი კ. ა. | ქუთათელაძე შ. ი. | წერეთელი მ. ა. |
| გოდერძიშვილი გ. ა. | | | |

## უკანასკნელი საათი...

◆ **მოსკოვი, 13 მაისი.** მოკრივეთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში დღეს მოეწყო მეოთხედფინალური შეხვედრები. სენსაციური იყო ევროპის ჩემპიონის გრიგორიევის მარცხი ლიტველ ტომაშევიჩთან. ჩემპიონი დამარცხდა და გამოეთიშა I ადგილისთვის ბრძოლას. ასევე მარცხი განიცადა მეორე, არახაკლევ გამოცდილმა მოკრივე ბარანიკოვმა, რომელმაც წააგო ბრძოლა ახალგაზრდა ლომაკინთან.

◆ **ესენი (გფრ), 13 მაისი.** დღეს აქ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. პირველი გამარჯვებები მოიპოვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა როშჩინმა, კიროვმა, საიადოვმა.

## ყოველ სოფელს — სპორტული ბაზა!

სახელია მოამბე

**ამ დევიზით** გაიშალა სომხეთში ახალი სტადიონების, ფეხბურთის მინდვრების, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მშენებლობა. რესპუბლიკის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა სომხეთში კომკავშირის შექმნის 45 წლისთავი „ჯანმრთელობის კუთხეების" მოწყობით აღნიშნოს. სომხეთის კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო სპორტულ ბაზაზე.

არარატის ველის სოფლებსა და მაღალმთიან რაიონებში უკვე დაიწყო ასეთი ბაზების მშენებლობა.

ერევანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშგება-არჩევნები

# წარმატებებს რაც ჩრდილავს

„დინამოს" ფეხბურთელები, კალათბურთელები, ხუთჭიდელები, მძლეოსნები, ტყვიის მსროლელები, მოცურავეები და ზოგიერთი სხვა სახეობის წარმომადგენლები საქართველოში მართლაც უძლიერესნი არიან. ეს წარმატებანი მოპოვებულია ფიზკულტურული კოლექტივების, მწვრთნელებისა და სპორტსმენების მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად და ტრადიციულად გრძელდება.

საქართველოს დინამოელთა სახელი კარგა ხანია გასცდა საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო სარბიელზე გავიდა. ჩვენს დინამოელთა რიგებში ბევრია ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მათი გამარჯვებებით დამსახურებულად ამაყობს მთელი ქვეყანა.

„დინამოს" კოლექტივებში კარგად იციან, რომ მონაპოვრის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის საჭიროა ფიზკულტურელთა რიცხვის მუდმივი ზრდა, სპორტსმენთა ტექნიკური არსენალის შეუნელებელი სრულყოფა, ამიტომაც ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ მათ წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გახორციელებისთვის.

ბოლო 2 წლის განმავლობაში საზოგადოების წევრთა რიცხვი 2 ათასამდე კაცით გაიზარდა, სპორტში მომეცადინეთა რაოდენობამ კი საზოგადოების წევრთა რიცხვის 77,4 პროცენტს მიაღწია. ამ პერიოდში გამართულ შეჯიბრებებში 190 ათასი კაცი მონაწილეობდა. მაღალ დონეზე წარმოებს საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებთან გამაჯანსაღებელი მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. ყოველივე ამან საზოგადოებას გადაჭარბებით გაანაღდებინა ოსტატების, თანრიგოსნების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების დავალება და თვითვალდებულებანი. მომზადდა 126 სპორტის ოსტატი და 1112 პირველთანრიგოსანი. მარტო შარშან 9 დინამოელმა შეასრულა საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმა.

აი, ასეთი სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ საქართველოს „დინამოს" ფიზკულტურული კოლექტივები და სპორტსმენები თავიანთ V კონფერენციას, რომელიც თბილისში გაიმართა.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე.

— ჩვენ ახლა ბევრი მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივი გვყავს, — თქვა მან, — განსაკუთრებით დაწინაურდნენ რუსთავის მე-2, თბილისის მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 ფიზკულტურული, თბილისის 1-ლი და ახალციხის გაერთიანებული კოლექტივები, რომლებმაც თანამშრომელთა 100 პროცენტი საზოგადოების წევრად გახადეს. საქართველოს ნაკრებში 206 დინამოელია. 1964 და 1965 წლებში ჩვენებმა ოც რესპუბლიკურ პირველობაში 12 გუნდური პირველი და 4 სხვა საპრიზო ადგილი მოიპოვეს, პირად ჩათვლაში კი 192 გახდა საქართველოს ჩემპიონი, 167 სპორტსმენმა II, ხოლო 120-მა III ადგილი დაიკავა. დინამოელებმა გააუმჯობესეს საქართველოს 144 რეკორდი.

საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა ბავშვებთან მუშაობა, — განაგრძო მომხსენებელმა. — ნორჩ დინამოელთა სექციებში ახლა 4.500 წევრი მეცადინეობს. მაღალ დონეზეა საშეფო საქმიანობა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, თელავის, ცხინვალის, გარდაბნის სკოლებში. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბოლო 2 წლის მანძილზე ნორჩ დინამოელთაგან 20-მა შეასრულა სპორტის ოსტატის, 221-მა — I თანრიგისა და 2 ათასზე მეტმა — სხვა თანრიგების ნორმები. შეფობას ვუწევთ დიღმის მასივის ჯანმრთელობის სახალხო კლუბ „დილას", ხოლო ამ ბოლო დროიდან — ენგურჰესის მშენებლობასაც. აქ იყო დინამოელთა სპეციალური ბრიგადა, რომლის წევრებმა — მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა მშენებლებს ჩაუტანეს სპორტინვენტარი და ფორმა.

წარმატებების მოპოვებაში ხელი იმანაც შეგვიწყო, რომ ფართოდ გავშალეთ სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი დროშის მოსაპოვებლად. შეჯიბრებაში აქტიურად ჩაება ყველა კოლექტივი, მაგრამ კარგი შედეგებით ჯერჯერობით მხოლოდ აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის საბჭოები თუ დაიტრაბახებენ. დროშას აჭარის საბჭო დაეუფლა.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო სპორტბაზების საკითხსაც.

ვ. დიდიძემ თავის გამოსვლაში დიდი ადგილი დაუთმო იმ ხარვეზებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრია ფიზკულტურული კოლექტივების, საბჭოების და გუნდების საქმიანობაში. მან თქვა, რომ ბევრგან ჯერ კიდევ დაბალია მასობრივ-სპორტული მუშაობის დონე. მაგალითად, თბილისის მე-5 გაერთიანებული კოლექტივის წევრთა მხოლოდ 34 პროცენტი მეცადინეობს სპორტში, თელავის კოლექტივში — 37, თბილისის მე-8 გაერთიანებულ კოლექტივში 7 პროცენტი. თბილისის მილიციის თანამშრომელთა 50 პროცენტი აქტიური ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გარეშეა დარჩენილი. ფოთისა და თბილისის მე-2 კოლექტივებში შარშან არც ერთი თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ.

კოლექტივები და საბჭოები ცალკეულ სახეობათა განვითარებაშიც ჩამორჩებიან. მაგალითად, აფხაზეთის ორგანიზაციებს რამდენიმე წელია შევსება არ მოუციათ კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ველოსპორტში, წყალბურთში, აჭარას — ტანვარჯიშში, ცურვაში, სროლაში, ძალოსნობაში, კრივში, ქუთაისს — ტანვარჯიშში, კრივში, სროლაში, ძალოსნობაში და ეს მაშინ, როცა მათთან კვალიფიციური მწვრთნელები მუშაობენ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სპორტის ცალკეული სახეობების მდგომარეობას. აღინიშნა, რომ მძლეოსნობაში მომუშავე 10 ხელფასიანი მწვრთნელი მცირე ნაყოფს იძლევა. მეტისმეტად ნელა იზრდება მოცურავეთა ტექნიკური მაჩვენებლები. ეს ნაკლოვანებანი ბაზების სიმცირითაცაა გამოწვეული. აუზები, სტადიონები, სასროლეთები არ აქვთ ან არ უვარგათ აჭარას, აფხაზეთს, ქუთაისს. სადღეისო მოთხოვნებს ვერც თბილისის ტირი აკმაყოფილებს.

საკავშირო ჩემპიონატში კალათბურთელ ვაჟთა გუნდის წარუმატებლობა მომხსენებელმა ახსნა მწვრთნელისა და სპორტსმენთა ერთი ნაწილის კინკლაობითა და უთანხმოებით. სპორტსმენთა მიერ წესრიგის დარღვევის ფაქტები, სამწუხაროდ, სხვა სახეობებშიც იყო. მაგალითად, წყალში ხტომაში (პოლულიახი), წყალბურთში (სხირტლაძე), ძალოსნობაში (კალაშიანი, იბრალიძე, მიმინოშვილი), ფეხბურთში, (ყურშუბიძე, ლორია, ფუტკარაძე, ვერულიძე) და სხვ. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ გუნდებში მოიკოჭლებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის გ. რატიანის საანგარიშო მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: მ. თურქიამ (აფხაზეთი), გ. მამარდაშვილმა (ტანვარჯიშის მწვრთნელი), ქ. გიორგაძემ (თბილისის მილიციის კოლექტივი), ე. კრავჩენკომ (რუსთავი), სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოჯიელმა და სხვ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე ვ. სუნცოვი, რომელმაც რესპუბლიკურ საბჭოს გადასცა ცენტრალური საბჭოს ხიგელი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში IV ადგილის დაკავებისთვის, აგრეთვე პრიზები ტანვარჯიშსა და ძალოსნობაში დინამოელთა საკავშირო დაუსწრებელ ტურნირებში გამარჯვებისთვის.

ბოლოს სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

ჩატარდა არჩევნები „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს წევრების, წევრობის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიისა.

* * *

გაიმართა ახლადარჩეული საბჭოს პლენუმი და სარევიზიო კომისიის სხდომა. „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ე. შევარდნაძე, მოადგილეებად — ვ. დიდიძე და ი. გაპონცევი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — გ. რატიანი.



საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციაზე „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ თავის სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ჯილდოების გამოფენა მოაწყო.

სურათზე: კონფერენციის დელეგატები რ. რურუა, ლ. ტუღუში და გ. სალარაძე ათვალიერებენ დინამოელთა მდიდარ ნადავლს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საქართველოს სტუდენტთა თამაშები

## ყველანი... საპრიზო ადგილებზე

სტუდენტთა საზაფხულო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კრივში „კამერულ" ვითარებაში ჩატარდა: პირველობისთვის მხოლოდ 3 გუნდი იბრძოდა... ე. ი. საპრიზო ადგილების მიღმა შეჯიბრების არც ერთი მონაწილე არ დარჩებოდა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი ჩემპიონატის შედეგებით კმაყოფილი არ უნდა იყოს, ვინაიდან ბრინჯაოს პრიზიორობა ამ შემთხვევაში ბოლო ადგილს ნიშნავდა. ფიზკულტურის ინსტიტუტის მოკრივეებმა სატურნირო ცხრილში „ოქროს შუაგული" დაიკავეს. გამარჯვება და სპორტული თამაშების ჩემპიონის წოდება მოიპოვა უნივერსიტეტის გუნდმა, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო მეტოქეებს.

რა გვიჩვენა გუნდურმა შეჯიბრებამ? ახალი არაფერი. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები კრივს კვლავ ტრადიციულ ბოიკოტს უცხადებენ. ამდენად მათი სიჯიუტე, მართლაც, რომ სამაგალითოა.

უნივერსიტეტელთა (მწვრთნელი გ. ხანუკაშვილი) გამარჯვება კანონზომიერია. საასპარეზოდ მათ მართლაც ძლიერი და, რაც მთავარია, გამოცდილი მოკრივეები გამოიყვანეს. რ. მუკოიანი, გ. ხორნაული, ვ. ცერცვაძე და მ. მამამთავრიშვილი არა თუ უნივერსიტეტის, ჩვენი რესპუბლიკის კრივის მეწინავენი არიან.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ფიზკულტურის ინსტიტუტის მოკრივეთა ნაკრები (მწვრთნელი ვ. ძნელაძე), რომელმაც დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვა. საქმე ისაა, რომ ეს კოლექტივი თითქმის მთლიანად ახალგაზრდა ათლეტებით იყო დაკომპლექტებული, რომლებმაც ბევრ ბრძოლაში ლამაზი და აზრიანი კრივი გვიჩვენეს.

ჩემპიონთა ტიტული წონითი კატეგორიების მიხედვით დაისაკუთრეს: რ. რატიანმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რ. მუკოიანმა, გ. ხორნაულმა (ორივენი — უნივერსიტეტი), გ. რზაევმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ვ. ცერცვაძემ, ე. სილაგაძემ, მ. მამამთავრიშვილმა, ა. ფროლოვმა (ყველანი— უნივერსიტეტი), გ. რეხვიაშვილმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). პირველობა არ გათამაშდა ქვემძიმე წონაში.

თუ გამარჯვებულებში 6 ათლეტი უნივერსიტეტიდანაა, ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი ფართოდ — 7 მოკრივით არის წარმოდგენილი ფინალისტთა შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორ ჩემპიონს დაემატა II ადგილზე გასული 5 მოკრივე, რაც წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. აი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს კი საქმე სანუგეშოდ არა აქვს.

ნ. ნადირაძე.

## „თუ გული გულობს..."

საქართველოში ტრეკი თბილისის გარდა არც ერთ ქალაქს არ გააჩნია. ველოსპორტის მოყვარულები ამ სავალალო მდგომარეობას კარგა ხანია შეეჩვივნენ. სწორედ ამიტომ, ჩვენც შევეგუეთ იმას, რომ რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის პოტენციალი მხოლოდ დედაქალაქის შესაძლებლობებით განისაზღვრება. აი, ამჯერადაც, ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში, რომელიც სტუდენტთა საზაფხულო სპორტული თამაშების ერთ ნაწილს წარმოადგენდა, კვლავ ძველი ნაცნობები ვიხილეთ ისევ უნივერსიტეტი, ისევ პოლიტექნიკური და ფიზკულტურის, პუშკინის სახელობის პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. მონაწილეთა რაოდენობა წინასწარ ლიმიტირებული გვეგონებოდათ, ასპარეზზე რომ არ გამოჩენილიყო ასეთი ღონისძიების „უცხო ხილი" — ბათუმის პედინსტიტუტის გუნდი.

კი მაგრამ, ბათუმში რომ არ არის ტრეკი? რაიმე შეცდომა ხომ არ მოგვდის? კიდევ ერთხელ გულდასმით წავიკითხეთ განაცხადი, რომელშიც გარკვევით იყო აღნიშნული ბათუმის გუნდი და მისი წევრების გვარები. ყველაფერი რიგზეა: თბილისს თუ არ ჩავთვლით, ბათუმის პედინსტიტუტი ამ შეჯიბრებაში საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ერთადერთი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი გამოდგა.

და აი, გაგვახსენდა ქართული ანდაზა „თუ გული გულობსო"... ბათუმელებმა თითქოს თავსატეხი სიტუაციიდან საკმაოდ კონივრული გამოსავალი ნახეს ისინი უკვე კარგა ხანია სატრეკო ველოსპორტის პროგრამით ვარჯიშობენ... გზატკეცილზე. და აი, ნაყოფიც არის! აჭარის წარმომადგენელთა სატურნირო მდგომარეობა ამ შემთხვევაში საინტერესო არ გახლავთ. მთავარია, რომ ბოლოსდაბოლოს ყინული დაიძრა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებს მისაბაძი მაგალითი წინ აქვთ.

ახლა კი თვით შეჯიბრების შედეგებზე. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. უნივერსიტეტი, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3 ფიზკულტურის ინსტიტუტი.

სპრინტერთა ასპარეზობის ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიო ჩემპიონის ო. ფხაკაძის (ფიზკულტურის ინსტიტუტი) გამოსვლა. მან მაყურებელთა მქუხარე ტაშში რბოლა ლამაზად და დამაჯერებლად მოიგო. ქალთა შორის ამ სახეობაში უძლიერესი იყო ფხაკაძის თანაგუნდელი ლ. სტაშევსკაია.

ნ. ახვლედიანი.

მოგვყავს შეჯიბრების ტექნიკური შედეგები:

**ვაჟები. რბოლა 100 წრეზე. 20 ფინიშით.** 1. ვ. პოპოვი (უნივ.), 2. ზ. ვაშაკიძე (სასოფლო-სამ. ინსტ.), 3. თ. გამცემლიძე (უნივ.), **რბოლა 4 კმ.** 1. ა. სტაშევსკი (უნივ.) — 5.26,2, 2. გ. ბატიაშვილი (სასოფლო-სამ. ინსტ.) — 5.28,2, 3. ვ. პოპოვი —5.29,0. **გიტი 1.000 მ.** 1. ვ პოპოვი. — 1.15,8, 2. ა. სტაშევსკი — 1.17,0, 3. ს. ბარამია (პოლიტექნ. ინსტ.) —1.17,9.

**ქალები. რბოლა 30 წრეზე.** 1. ლ. სტაშევსკაია, 2. ლ. კრივოლაპოვა, 3. ვ. სკუგარი (ყველანი— ფიზკ. ინსტ.); **რბოლა 3 კმ.** 1. ლ. სტაშევსკაია —4. 30,9, 2. ვ. სკუგარი — 4.41,4, 3. ა. მაკროვსკაია (ფიზკ. ინსტ.)—4.46,3; **გიტი 500 მ.** 1. ლ. სტაშევსკაია —41,8, 2. ა. მაკროვსკაია— 43,4, 3. ლ. გელაშვილი (უნივ.) —44,4.

## ასეც უნდა ყოფილიყო

საგზატკეცილო ველორბოლამ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენი მიიზიდა. მართალია, ძალთა შეფარდება საკმაოდ უთანაბრო იყო, მაგრამ მონაწილეებს აქ მსაჯთა კოლეგია „წამოეშველა", რომელმაც გუნდები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაანაწილა.

I ჯგუფში ფავორიტებად ითვლებოდნენ ფიზკულტურის და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ველოსიპედისტები. საპრიზო ადგილებიც სწორედ მათ შორის განაწილდა. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი უფრო ძლიერი გამოდგა და I ადგილიც დაისაკუთრა. ჩვენი აზრით, მისი ეს წარმატება ლოგიკურია, ვინაიდან რესპუბლიკის საგზატკეცილო ველოსიპედისტთა მთელი ნალები სწორედ ამ ინსტიტუტში სწავლობს. მომავალი ინჟინრები II ადგილზე დარჩნენ.

II ჯგუფის გუნდების ასპარეზობაში გაიმარჯვეს ქუთაისის პედინსტიტუტის ველოსიპედისტებმა, რომლებმაც ბათუმის სპორტსმენებს ცოტათი აჯობეს. III საპრიზო ადგილი უცხო ენათა და სამედიცინო ინსტიტუტების გუნდებმა გაიყვეს.

ი. მაყაშვილი.

მოგვყავს ტექნიკური შედეგები პირად ჩათვლაში:

**ვაჟები. 50 კმ წრიული რბოლა.** 1. გ. ყაველაშვილი (ფიზკ. ინსტ.).— 1:47.56, 2. შ. დაიაური (პოლიტექნ. ინსტ.) — 1:47.58, 3. ა. ჩერნოუსოვი (ფიზკ. ინსტ.) — 1:48.02. **100 კმ რბოლა საერთო სტარტით.** 1. ბ. ძიძიგური (პედინსტ., სოხუმი) — 2:41,50,3, 2. გ. ყაველაშვილი — 2:41.50,4, 3. შ. დაიაური — 2:41.50,5. **50 კმ რბოლა დაყოფილი სტარტით.** 1. მ. ქანთარია — 37.04,5, 2. გ. ბერიძე — 37.08,3, 3. შ. დაიაური (ყველანი—პოლიტექნ. ინსტ.) — 37.37,0.

**ქალები. 15 კმ წრიული რბოლა.** 1. ლ. ჩუგუნოვა — 33.42,5, 2. ს. მიაჩკოვა (ორივენი — ფიზკ. ინსტ.) — 34.43,1, 3. ლ. კრიკუნოვა (პოლიტექნ. ინსტ.)— 36.50,0. **25 კმ რბოლა საერთო სტარტით.** 1. ს. მიაჩკოვა — 41.42,9, 2. ლ. ჩუგუნოვა — 43.27,1, 3. ა. პუტიატინა (ფიზკ. ინსტ.) — 43.27,4. **15 კმ რბოლა დაყოფილი სტარტით.** 1. ა. პუტიატინა — 24.26,0, 2. ს. მიაჩკოვა — 25.01,1, 3. ლ. ჩუგუნოვა — 25.02,0.

## სპასკი არ ნებდება

მოსკოვი 1966

მოსკოვი, 13 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მთელი საღამო მიმდინარეობდა პეტროსიან — სპასკის მატჩის წინდღით გადადებული XIII პარტიის დამთავრება. უარეს პოზიციაში პეტროსიანი შეუპოვრად იცავდა თავს, მაგრამ ბოლოს მაინც შეცდა. 91-ე სვლაზე პარტია კვლავ გადაიდო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის მდგომარეობა ამჯერად კიდევ უფრო მძიმეა.

დღეს მეტოქეებმა XIV პარტია გაითამაშეს. სპასკიმ ძალიან ორიგინალურად ჩაატარა დებიუტი და რთული პოზიცია შექმნა. პეტროსიანი გეგმიანად ავითარებდა ფიგურებს, რათა აქტიური თამაში წამოეწყო. სპასკიც ემზადებოდა იერიშისთვის. მსოფლიო ჩემპიონის სუსტი მე-19 სვლის შემდეგ პრეტენდენტმა ცენტრში აქტიური ოპერაციები განავითარა და ინიციატივასაც დაეუფლა.

პეტროსიანმა რამდენიმე ფიგურის გაცვლით თითქოს შეანელა სპასკის შეტევა, მაგრამ ცენტრში დარჩენილი შავი პაიკი შენიღბულ მუქარებს ქმნიდა. ამიტომ სპასკიმ ლაზიერების გაცვლაც შესთავაზა მეტოქეს, რაზეც პეტროსიანი არ დათანხმდა. პოზიცია ისევ დაძაბული იყო, როცა ამოიწურა თამაშის დრო და პარტია გადაიდო.

პეტროსიანი — სპასკი

**1. მf3 მf6 2. g3 b5 3. a4 b4 4. d3 კb7 5. e4 d6 6. კg2 მbd7 7. 0—0 e6 8. a5 ეb8 9. მbd2 კe7 10. მc4 0—0 11. ეe1 a6 12. კf4 კa8 13. ლe2 ეe8 14. h3 კf8 15. მcd2 g6 16. კg5 h6 17. კe3 კg7 18. მფh2 ლe7 19. ეa2 მფh7 20. მg1 d5 21. f4 e5 22. fe ლ:e5 23. d4 ლe6 24. e5 მe4 25. ეaa1 c5 26. მ:e4 de 27. c3 bc 28. bc cd 29. cd f6 30. ef მ:f6 31. ეab1 ლd5 32. ლd2 ე:b1 33. ე:b1 ლd6 34. მe2 ლa3 35. კg1 ლd3 36. ლe1 კc6 37. ეd1 ლa3 38. მf4 მ:f4 39. gf კb5 40. კe3 კd3** პარტია გადაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ა“ კლასი I ჯგუფი

„ნეფტიანიკი“ — ასკ (როსტოვი) 4:1.
„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:0.
„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1.

VII ტური

ცსკა — „ზენიტი“ 2:1.
„დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“ 2:1.
„კრილია სოვეტოვი“ — ასკ (ოდესა) 1:1.

გუშინ...

## სსრ კავშირის პირველობა

# ქულის გადარჩენა შეიძლებოდა

ერევანი. ცენტრალური სტადიონი. 13 მაისი.

„არარატი“ (ერევანი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0 (1:0).

„ არარატი“: აბრამიანი, სეროპიანი, ავეტისიანი, სიომინი, ოვსეპიანი, კოვალენკო (გრიგორიანი), ვიუნი, გალსტიანი, ეგიაზარიანი, ოვივიანი, ზიროიანი.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ზარია (ხერხაძე), ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

დუბლიორები: 2:1 „არარატის“ სასარგებლოდ.

ქუთაისის გუნდში მომხდარი გადაადგილებანი ნაკარნახევი იყო აუცილებლობით: „არარატი“ ჩემპიონატის სტარტზე საუკეთესო ფორმაშია და ძალიან ძლიერადაც თამაშობს. განსაკუთრებით თავის მინდორზე, თავისი მაყურებლის წინაშე. ამიტომ გააძლიერეს ქუთაისელებმა დაცვითი ხაზები ერთი თავდამსხმელის ხარჯზე და ეს დანაკლისი უნდა შეევსო ნახევარდაცვის აქტიურ მოქმედებას (ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, კუტივაძეზე).

ტორპედოელთა ტაქტიკური ჩანაფიქრი ძირითადად სწორი გამოდგა და თუ გუნდმა დამარცხებულმა დატოვა მინდორი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა. მეორე ტაიმის დასაწყისში „არარატის“ კართან ზედიზედ შეიქმნა უაღრესად სახიფათო მომენტები. იყო შემთხვევა, როცა მასპინძელთა კარი საერთოდ ღიად იყო დატოვებული, ბურთი კი ქუთაისელებს ჰქონდათ. მაგრამ გადამწყვეტი ზუსტი დარტყმა არ იქნა და არ შესრულდა.

პირველ ტაიმში უპირატესობა აშკარად ერევნელებს ჰქონდათ. მათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცათ 29-ე წუთზე, როცა ს. ალიმოვმა „ტორპედოს“ კარში დანიშნა 11-მეტრიანი. მაგრამ კვასხვაძემ შესანიშნავი ნახტომით აილო ოვივიანის მიერ დარტყმული პენალტი.



გოლი, რომელმაც „არარატს“ მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა 43-ე წუთზე. ოვივიანმა ძლიერად დაარტყა კარში, კვასხვაძემ ვერ შეაჩერა ბურთი ხელში და ზიროიანმა ახლო მანძილიდან გაიტანა იგი. მეორე ტაიმში, როგორც ვთქვით, ქუთაისელებს ზედიზედ ჰქონდათ მეტოქის კარის აღების კარგი მომენტები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა რეალიზებული.

ა. ბალდასარიანი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 7 | 6 | 1 | 0 | 21—1 | 13 |
| „არარატი“ (ერევანი) | 7 | 4 | 2 | 1 | 9—3 | 10 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 7 | 3 | 4 | 0 | 9—3 | 10 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 5 | 4 | 1 | 0 | 6—1 | 9 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 7 | 3 | 2 | 2 | 11—8 | 8 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 6 | 2 | 4 | 0 | 5—3 | 8 |
| ასკ (როსტოვი) | 6 | 3 | 1 | 2 | 8—10 | 7 |
| „დინამო“ (თბილისი) | 6 | 2 | 2 | 2 | 6—4 | 6 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 6 | 3 | 0 | 3 | 5—4 | 6 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 7 | 3 | 0 | 4 | 10—10 | 6 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 6 | 2 | 2 | 2 | 5—6 | 6 |
| ცსკა | 6 | 1 | 4 | 1 | 5—6 | 6 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 7 | 2 | 1 | 4 | 5—10 | 5 |
| „დინამო“ (მინსკი) | 7 | 2 | 1 | 4 | 7—13 | 5 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 7 | 2 | 1 | 4 | 4—11 | 5 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 6 | 1 | 2 | 3 | 4—8 | 4 |
| ასკ (ოდესა) | 6 | 0 | 3 | 3 | 2—8 | 3 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 6 | 0 | 3 | 3 | 3—10 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 5 | 0 | 0 | 5 | 2—8 | 0 |

## წინასწარი განაცხადი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ თავის მორიგ სხდომაზე დაამტკიცა იმ 40 ფეხბურთელის სია, რომელიც უნდა წარედგინოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ა. წ. 25 მაისისთვის.

წინასწარ განაცხადში შევიდნენ: ლ. იაშინი, ა. კავაზაშვილი, ვ. ბანიკოვი, ვ. მასლაჩენკო, ვ. ანდრეიუკი, ვ. ანიჩკინი, ვ. აფონინი, ვ. გეტმანოვი, ვ. დანილოვი, ა. კორნეევი, ლ. ოსტროვსკი, ვ. პონომარიოვი, ვ. სოსნიხინი, ხ. უსატორე, მ. ხურცილავა, გ. ცხოვრებოვი, ა. შესტერნიოვი, ვ. შუსტიკოვი, ა. ბიბა, ვ. ბრედნევი, ვ. ვორონინი, ვ. მასლოვი, ი. საბო, გ. სიჭინავა, გ. ჰუსაინოვი, ა. ბანიშევსკი, ვ. ივანოვი, ბ. კაზაკოვი, ო. კოპაევი, ე. მალაფეევი, ე. მარქაროვი, მ. მესხი, ს. მეტრეველი, ვ. მიხაილოვი, ნ. ოსიანინი, ვ. პარკუიანი, ვ. პონედელნიკი, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. ხმელნიცკი, ი. ჩისლენკო.

პრეზიდიუმმა განიხილა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის მზადების საკითხი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშებისთვის. მოხსენებებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები მ. ტოვაროვსკი და ბ. არკადიევი, აგრეთვე ექიმი ნ. გრაევსკაია. კამათში გამოსულმა სპეციალისტებმა აღნიშნეს ნაკრების მზადებაში არსებული ხარვეზები და დასახეს ღონისძიებანი მათი გამოსწორებისთვის.

„ა“ კლასი II ჯგუფი

## „ლოკომოტივის“ მარცხი

## ბათუმის „დინამოს“ ფრე

გუშინ შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფში.

ვილნიუსში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჟალგირისი“ და თბილისის „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0 (0:0).

კალინინგრადის „ბალტიკამ“ თავის მინდორზე მიიღო ბათუმის „დინამო“. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

„ბ“ კლასი IV ზონა

## შინ და გარეთ...

12 მაისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის.

ტ ყ ი ბ უ ლ ი (ჩვენი კორ.). ადგილობრივმა „მეშახტემ“ მიიღო კაფანის „ლერნაგორცი“.

მასპინძლებმა, რატომღაც, უტემპო დასაწყისი აირჩიეს. მათს მოქმედებაში არ იგრძნობოდა აგრესიულობა და გამარჯვებისადმი სწრაფვა. „ლერნაგორცმა“ ისარგებლა ამ მდგომარეობით და თამაში კარგა ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მეშახტეთა იერიშები გაძლიერდა მხოლოდ ტაიმის მეორე ნახევარში. 26-ე წუთზე ავალიანი გავიდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, გადააწოდა ბურთი თოლორაიას, ხოლო ეს უკანასკნელი გაუსხლტა ორ მცველს და გახსნა ანგარიში— 1:0

ტყიბულის ფეხბურთელები სრული ძალით მხოლოდ მეორე ტაიმში ამოქმედდნენ და თამაშმაც მთლიანად კაფანელთა მხარეს გადაინაცვლა. რამდენიმე გამოუყენებელი შესაძლებლობის შემდეგ ლაზარევმა და ვანაჩამ კარგად გაითამაშეს თავისუფალი დარტყმა. ვანაჩა გავიდა ღია პოზიციაში და ზუსტად გაიტანა მეორე გოლი — 2:0.

ზ. ჯორჯაძე.

გ ო რ ი (ჩვენი კორ.). ადგილობრივ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია „დილის“ შეხვედრამ ერევნის „არაქსთან“.

მასპინძლებმა ძლიერი იერიშებით დაიწყეს მატჩი. ზედიზედ შექმნილი სახიფათო მომენტების შემდეგ ანგარიში გაიხსნა მე-20 წუთზე: მარჯვენა გარემარბი ხვადაგაძე კარგად გაერკვა შექმნილ ვითარებაში და ზუსტად გაგზავნა ბურთი ერევნელთა კარში — 1:0.

მოსალოდნელი იყო, რომ გორელი ფეხბურთელები განამტკიცებდნენ თავიანთ ამ დამსახურებულ წარმატებას, მაგრამ პირიქით მოხდა. მათ უკლეს ტემპს, რითაც კარგად ისარგებლეს სტუმრებმა. თამაში ჯერ გათანაბრდა, ხოლო შემდეგ „არაქსს“ რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევაც ჰქონდა. მე-80 წუთზე მასპინძელთა დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომის შედეგად ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

დარჩენილ დროში „დილას“ შეეძლო კვლავ დაწინაურებულიყო, მაგრამ გუნდის თავდამსხმელები ერთობ უზუსტოდ ურტყამდნენ კარში. ერევნელთა მხარეს მოწოდებულ იქნა 6 კუთხური ბურთი, მაგრამ ყველა უშედეგოდ.

ზ. გოზალიშვილი.

• • •

ჩვენი რესპუბლიკის სხვა გუნდებს ამ დღეს გასვლითი შეხვედრები ჰქონდათ. ზუგდიდის „ენგურმა“ კარგად ითამაშა მახაჩყალაში, სადაც დაამარცხა ადგილობრივი დინამოელები — 2:1.

გურჯაანის „ალაზანი“ კიროვაკანში შეხვდა ადგილობრივ „ლორის“ და დამარცხდა — 0:1. ფოთის „კოლხიდა“ თამაშობდა ორჯონიკიძის „სპარტაკთან“. გამარჯვება აქაც მასპინძლებს ხვდათ წილად — 1:0. რუსთავის „მეტალურგმა“ ფრედ (2:2) ითამაშა ოქტემბერიანის „სევანთან“. იგივე ანგარიში იქნა ფიქსირებული პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელისა“ და სოხუმის „დინამოს“ მატჩში.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი მატჩები.

● „ირისტონი“ (ცხინვალი) — „ქართლი“ (გორი) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „დინამო“ I (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 0:3. მსაჯი ნ. ტატანაშვილი (თბილისი).

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 1:1. მსაჯი გ. ბაქანიძე (თბილისი).

ანგარიში პირველ ტაიმში გახსნეს მასპინძლებმა. მათ შემდგომაც სრული უპირატესობა ეპყრათ, მაგრამ მოხდა ისე, რომ გოლი სწორედ „მესხეთის“ კარში გავიდა: ეს ბურთი საკუთარ კარში გაიტანა მცველმა ჯალაღონიამ.

● „სინათლე“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 6:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

თბილისელებმა თავიდანვე ძლიერად შეუტიეს მეტოქეს და როცა ტაიმი დამთავრდა, ისინი საგრძნობლად იყვნენ დაწინაურებული — 4:0. მატჩის ბედი არსებითად გადაწყვეტილი იყო და მეორე ტაიმს მხოლოდ „ფორმალური ხასიათი“ ჰქონდა. ზუგდიდელებმა ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ძლიერად მოთამაშე მეტოქეს.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) „განთიადი“ (ბორჯომი) 4:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ლიდერი თამაშობდა დამაჯერებლად, მაღალ სპორტულ დონეზე. მისი უპირატესობა არ შენელებულა მთელი მატჩის მსვლელობაში.

● „დინამო“ (ქუთაისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

● „ნარინჯი“ (ბათუმი) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 0:0. მსაჯი ა. ჩიფჩიური (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეები საკმაოდ განსხვავებულ ადგილებზე იმყოფებიან გათამაშების ცხრილში, მატჩი მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. დასაწყისში სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს და მეკარე ჭალაძეს სრული დატვირთვით მოუხდა თამაში. მეორე ტაიმში თამაშის სიმწვავე არ დამცხრალა, თუმცა ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ბურთის გატანა.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 0:2. მსაჯი ა. კილაძე (თბილისი).

სტუმრებმა მონდომებულად ითამაშეს და ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს. გოლები გაიტანეს ფრუიძემ და ცვიჟბამ.

● „გურია“ (ლანჩხუთი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 3:0. მსაჯი ი. კუპიდი (ბათუმი).

ჩოხატაურელ ფეხბურთელებს მხოლოდ დაცვაზე უხლებოდათ ფიქრი, რათა გამკლავებოდნენ „გურიის“ განუწყვეტელ იერიშებს. ლანჩხუთელთა გამარჯვება თავიდანვე ნათელი შეიქნა.

● „კოლხეთი“ (ცხაკაია) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

მასპინძლებმა თავიდანვე ძლიერი იერიშები განავითარეს. 25-ე წუთზე აბუთიძე ფლანგზე გავიდა და კარში დაარტყა. ეს იოლი ბურთი ვერ აიღო არმიელთა მეკარემ — 1:0. განსაკუთრებით დაიძაბა თამაში შესვენების შემდეგ და „კოლხეთს“ მოუხდა არმიელთა თავდამსხმელების ძლიერი იერიშების მოგერიება. ერთ-ერთი კონტრიერიშისას იმავე აბუთიძემ ეფექტური დარტყმით მეორე ბურთი გაგზავნა თბილისელთა კარში. არმიელთა ძლიერი და ხანგრძლივი დაწოლა დამთავრდა მხოლოდ 1 საპასუხო გოლით და „კოლხეთმა“ მძიმე ბრძოლაში შეძლო მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვების შენარჩუნება.

● „მერცხალი“ (მახარაძე) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

● „სინათლე“ (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი კ. საძაგლიშვილი (თბილისი).

მატჩი დაძაბული ბრძოლით აღინიშნა და პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ — 1:0. შემდგომში ვითარება მინდორზე უაღრესად დაიძაბა. „ფეიქრის“ ფეხბურთელებს ნერვებმა უმტყუნა და ზოგიერთი მათგანი ხულიგნობამდეც მივიდა. მაგალითად, მსაჯის შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან იქნენ გაძევებული კ. მანაგაძე და გ. კუჭუხიძე. ეს მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ მანაგაძეცა და კუჭუხიძეც გამოცდილი ფეხბურთელები არიან და მსგავსი საქციელი მათ არ შეფერით. როცა მატჩის დამთავრებას 7 წუთი აკლდა, სტუმრების კარში გატანილ იქნა მეორე გოლი. ეს არ მოეწონა წულუკიძელთა მეკარე ვაშაკიძეს, რომელმაც მიბაძა თავის უფროს კოლეგებს, უკნიდან მიეპარა მსაჯს და ხელი გაარტყა (!). რა თქმა უნდა, ეს ყოვლად უხამსი საქციელი არ დარჩება სათანადო სასჯელის გარეშე, მაგრამ „ფეიქრის“ ხელმძღვანელობამ სერიოზული ანალიზი უნდა გაუკეთოს მომხდარ ფაქტს, რომ მსგავსი ამბავი მომავალში აღარ გამეორდეს.

• • •

მორიგი ტურის მეხვედრები „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებულ მოსამზადებელ ჯგუფებს შორის დამთავრდა შემდეგი შედეგებით:

I ქვეჯგუფი: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, ინტერნატი № 2 (გლდანი) — საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 0:0, „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:2, „დილა“ (გორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0.

II ქვეჯგუფი: საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — „ენგური“ (ზუგდიდი) 3:0, „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კოლხიდა“ (ფოთი) 2:0, განათლების განყოფილება (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 11 მაისისათვის

I ჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 8 | 7 | 0 | 1 | 15—3 | 14 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 9 | 6 | 1 | 2 | 18—8 | 13 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 8 | 4 | 3 | 1 | 14—5 | 11 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 7 | 3 | 3 | 1 | 7—4 | 9 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 8 | 4 | 1 | 3 | 8—9 | 9 |
| „მალაროელი“ (ჭიათურა) | 8 | 2 | 4 | 2 | 7—6 | 8 |
| „ისანი“ (თბილისი) | 8 | 3 | 1 | 4 | 4—4 | 7 |
| „ირისტონი“ (ცხინვალი) | 8 | 2 | 2 | 4 | 5—9 | 6 |
| „ქართლი“ (გორი) | 7 | 2 | 1 | 4 | 4—9 | 5 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 8 | 1 | 2 | 5 | 4—24 | 4 |
| „დინამო“ I (თბილისი) | 5 | 1 | 0 | 4 | 11—12 | 2 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 6 | 0 | 2 | 4 | 4—7 | 2 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 8 | 5 | 2 | 1 | 15—8 | 12 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 7 | 5 | 1 | 1 | 11—5 | 11 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 8 | 4 | 2 | 2 | 15—9 | 10 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 8 | 3 | 4 | 1 | 6—6 | 10 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 8 | 3 | 3 | 2 | 12—4 | 9 |
| ასკ (თბილისი) | 7 | 2 | 4 | 1 | 9—7 | 8 |
| „ნარინჯი“ (ბათუმი) | 8 | 2 | 4 | 2 | 8—10 | 8 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 8 | 2 | 4 | 2 | 5—11 | 8 |
| ფიზკ. ინსტ (თბილისი) | 8 | 3 | 1 | 4 | 13—11 | 7 |
| „მეშახტე“ (ტყვარჩელი) | 8 | 2 | 3 | 3 | 5—7 | 7 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 8 | 0 | 3 | 5 | 7—15 | 3 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 8 | 0 | 1 | 7 | 4—17 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# თასი მეექვსედ!

ბრიუსელის „ჰეისელის" სტადიონზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამ საპატიო პრიზის ხუთგზის მფლობელი მადრიდის „რეალი" (ესპანეთი) და ბელგრადის „პარტიზანი" (იუგოსლავია), რომელიც პირველად გავიდა ფინალში.

„რეალი": არაკისტაინი, პაჩინი, დე ფელიპე, სანჩისი, პირი, ზოკო, სერენა, ამანსიო, გროსო, ველასკესი, ჰენტო.

„პარტიზანი": შოშკიჩი, იუსუფი, მიხაილოვიჩი, ბეჩეიაცი, რაშოვიჩი, ვასოვიჩი, ბაიჩი, კოვაჩევიჩი, ჰასანაგიჩი, დავიდოვიჩი, პირმაიერი.

სწრაფი ტემპისა და რამდენიმე საგოლე მომენტის მიუხედავად, პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. ტერიტორიული უპირატესობა „რეალს" ჰქონდა, სადაც საუკეთესო იყო მარცხენა გარემარბი, 33 წლის ჰენტო (ვეტერანისთვის ეს იყო მერვე ფინალი და 73-ე მატჩი ჩემპიონთა თასის გათამაშებაში).

55-ე წუთზე „პარტიზანის" ნახევარმცველმა ვასოვიჩმა ანგარიში გახსნა — 1:0. „რეალის" თავდამსხმელებმა გროსომ, სერენამ და ამანსიომ რამდენიმეჯერ შექმნეს პანიკა „პარტიზანის" კართან, მაგრამ შოშკიჩის თავგანწირულმა თამაშმა იხსნა „პარტიზანი". 66-ე წუთზე ამანსიომ მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება —1:1. ამ დროისათვის მაყურებელი რამდენიმეჯერ გადავიდა მინდორზე (ორივე გუნდს ათასობით თანამემამულე გულშემატკივრობდა).

76-ე წუთზე სერენამ ძლიერი დარტყმით დააწინაურა „რეალი"— 2:1. დარჩენილ დროში „პარტიზანი" ბევრს ეცადა ანგარიშის შეცვლას, მაგრამ ამაოდ. კრაიტლაინის (გფრ) ფინალურმა სასტვენმა აღნიშნა „რეალის" გამარჯვება —2:1.

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ მადრიდელებმა დაიბრუნეს საპატიო პრიზი— ეს მათი მეექვსე გამარჯვებაა. ახლა „რეალი" საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში შეხვდება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს. ეს იქნება „რივერ პლეიტი" (ბუენოს-აირესი), ან „პენიაროლი" (მონტევიდეო), რომლებიც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ფინალში. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის საუკეთესო კლუბები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

თბილისში ასპარეზობის შემდეგ საერთაშორისო ტურნირის მონაწილე ტანმოვარჯიშე ქალები ერევანს გაემგზავრნენ, სადაც ცალკეულ იარაღებზე უძლიერესნი უნდა გამოვლინებულიყვნენ. ბჯენით ხტომებში ყველას აჯობა საქართველოს ჩემპიონმა ა. ჯანუყაშვილმა. ორძელზე უძლიერესი იყო ე. ბარტი (გდრ), ხოლო დვირსა და თავისუფალ ვარჯიშში — ნ. კუჩინსკაია. მრავალჭიდში გაიმარჯვა ბელორუსიელმა ლ. პეტრიკმა (76,55). II ადგილზე გავიდა ა. ჯანუყაშვილი (76,05), ხოლო III—ე. ბარტი (75,5).

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 16 წლის ლ. პეტრიკი დვირზე ვარჯიშისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



„ლელოს" საკუთარი ინფორმაცია

# „ლიდსის" მარცხი

ვინაიდან ბაზრობათა თასის გათამაშების ორმა ნახევარფინალურმა მატჩმა ინგლისის „ლიდს იუნაიტედსა" და ესპანეთის „რეალ-სარაგოსას" შორის გამარჯვებული ვერ გამოავლინა (ბურთების შეფარდება — 2:2), ოთხშაბათს ლიდსში მეტოქენი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

ატალახებული მინდვრის მიუხედავად, ესპანელებმა ნამდვილი შეტევითი ფეხბურთი აჩვენეს. „ლიდსის" დაცვა ერთ-ერთი საუკეთესოა ინგლისში, მაგრამ 13 წუთის მანძილზე სარაგოსელებმა მარსელინომ, ვილიამ და სანტოსმა შესანიშნავი გარღვევები 3 გოლით დააგვირგვინეს. რამდენიმეჯერ ინგლისელებიც გავიდნენ ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მათი დარტყმები უხეირო იყო.

ესპანელები შესვენების შემდეგაც შესანიშნავად თამაშობდნენ. მატჩის დასასრულს ტერიტორიული უპირატესობა „ლიდსის" მხარეს იყო, მაგრამ მან მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო: მე-80 წუთზე ჯ. ჩარლტონმა გაიტანა გოლი „სარაგოსას" კარში — 1:3.

ამრიგად, ბაზრობათა თასის ერთი ფინალისტი გამოვლინდა — ესაა „რეალ-სარაგოსა".

# თამაში თუ ომი?

ბაზრობათა თასზე ლონდონის „ჩელსისა" და ესპანეთის „ბარსელონას" პირველი ნახევარფინალური მატჩი ესპანელთა გამარჯვებით (2:0) და სასტიკი უხეშობით აღინიშნა.

ოთხშაბათს გუნდები მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს (ლონდონში) და თამაში კიდევ უფრო უხეში გამოდგა. ფეხბურთელები მსაჯის ზურგს უკან ერთმანეთს მუშტებით უმასპინძლდებოდნენ, რამდენიმე მათგანი დაშავდა კიდეც. ესპანელთა სტოპერი ელადიო გაძევებულ იქნა მინდვრიდან. სტადიონის ადმინისტრაციასა და პოლიციას 5 წუთი დაჭირდა მინდვრიდან ამ ფეხბურთელის გასაყვანად.

პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. შესვენების შემდეგ ორივე გუნდს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მეკარეებმა ბონეტიმ და რეინამ კარგად ითამაშეს. ესპანელთა მწვავე კონტრშეტევების მიუხედავად, „ჩელსიმ" შეძლო 2 გოლის გატანა. უფრო სწორად, გოლები თვითონ ბარსელონელებმა გაიტანეს — ჯერ ნახევარმცველმა ტორესმა ოზგუდის მიერ თავით დარტყმული ბურთი საკუთარ კარში მოათავსა, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ რეინამ მუშტით გაიტანა ბურთი... საკუთარ ბადეში — 0:2.

ბოლო წუთებზე დაშავდა ლონდონელი ტამბლინგი, 3 წუთის შემდეგ იგი დაბრუნდა მინდორზე, მაგრამ ამ დროს საკაცით გაიტანეს მისი თანაგუნდელი ჰოლინსი.

„ჩელსიმ" გაიმარჯვა —2:0. მატჩის შემდეგ ჰყარეს კენჭი და ბედმა ესპანელებს გაუღიმა: მესამე თამაში მათს მინდორზე ჩატარდება. ბრიტანულმა პრესამ ამ მატჩს საზარელი სანახაობა უწოდა.

# შოტლანდია — ჰოლანდია 0:3

**გლაზგო.** აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი შოტლანდიისა და ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს აკლდათ რამდენიმე მოწინავე ფეხბურთელი, მათი გამოსვლა მაინც სამარცხვინოდ უნდა ჩაითვალოს: შოტლანდიელები დამარცხდნენ — 0:3.

# ლიდერობენ თბილისელები

ჭადრაკი

გუშინწინ დილით მოხდა ბაქოს, ერევნისა და თბილისის მოჭადრაკეთა გუნდების მატჩ-ტურნირის I ტურში (ბაქო—ერევანი) გადადებული 3 პარტიის დამთავრება. ბაქოელებმა 2 ქულა მოაგროვეს (სააკოვამ მოუგო აფიანს, ხოლო პიროგოროდსკი — არუთინიანი და ფ. შახტახტინსკი — ლ. გრიგორიანი ყაიმზე შეთანხმდნენ) და მატჩი მოიგეს საერთო ანგარიშით 7,5:2,5.

საღამოს, II ტურში, ერთმანეთს შეხვდნენ ბაქო — თბილისი. ყაიმით დასრულდა გურგენიძე — ბაგიროვისა და ჯინჯიხაშვილი — პავლენკოს პარტიები. ლომაიამ შესანიშნავად დალაშქრა პიროგოროდსკის მეფის პოზიცია: ეტლის შეწირვით მან მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა. უბილავა — გავაშელიშვილის შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ბაქოელის უხეშმა შეცდომამ. თანაგუნდელის ბედი გაიზიარა გორბულოვამ (ჩაიკოვსკაიასთან პარტიაში). მძაფრი თამაში გაჩაღდა ზატულოვსკაია — კაკაბაძის შეხვედრაში. თავიდან უკეთესი პოზიცია ბაქოელს ჰქონდა, მაგრამ კაკაბაძემ მძლავრი კონტრთამაში შექმნა და ბრძოლაც გაათანაბრა. თუმცა ყოველივე ამაო გამოდგა: პარტიის მიწურულში თბილისელი შეცდა და დამარცხდა. 4 პარტია გადაიდო.

# გუშინ...

**დილით** მოეწყო ბაქო — თბილისის მატჩის გადადებული პარტიების დამთავრება. ალექსანდრიამ ჩინებულად გამოიყენა უპირატესობა და დაამარცხა სააკოვა. ბუსლაევმა ხარისხის შეწირვით დაიმარტოხელა შახტახტინსკის მეფე და გაიმარჯვა. ყაიმით დასრულდა მორგულიოვ — გიორგაძისა და ბოკუჩავა — ფ. შახტახტინსკის პარტიები. საღამოს, III ტურში, ერთმანეთს შეხვდნენ თბილისი — ერევანი. ჯინჯიხაშვილმა ენერგიული თამაშით სწრაფად მოუგო ა. გრიგორიანს. დამარცხებულის ძმამ ლეონმა „შური იძია" ბოკუჩავაზე. კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა ერევნელებს ვეტერანმა კასპარიანმა (ბუსლაევთან). ამის შემდეგ ზედიზედ 3 გამარჯვება იზეიმეს თბილისელებმა: უბილავამ მოუგო არუთინოვს, კაკაბაძემ — ბოიახჩიანს და ალექსანდრიამ — აფიანს. ყაიმით დამთავრდა მნაცაკანიან — გურგენიძისა და ღემირხანიან — გიორგაძის შეხვედრები. 2 პარტია გადაიდო. ამრიგად, ჯერჯერობით წინ არიან თბილისელები — 5:3. 3 ტურის შემდეგ ლიდერობს თბილისის გუნდი (12 ქულა და 2 გადადებული პარტია). ბაქოელებს 10,5 ქულა აქვთ, ხოლო ერევნელებს — 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

კალათბურთი

## მეორე გამარჯვება პერუში

● ლიმა, 12 მაისი. პერუში სტუმრად მყოფი საბჭოთა კალათბურთელები მეორე მატჩშიც ამ ქვეყნის ნაკრებს შეხვდნენ და კვლავ გაიმარჯვეს. თამაშის ანგარიშია 57:47 (28:24).



ეს მოხდა 9 მარტს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ლისაბონის „ბენფიკას" შორის. „ბენფიკას" ცენტრფორვარდმა ჟ. ტორესმა მეორე გოლის გატანის შემდეგ ბურთი ჩაიხუტა. მიწაზე წევს ინგლისელთა მეკარე ჰ. გრეგი. მარცხნივ — მცველი შ. ბრენანი.

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 68448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01570